

შპს „ავიატორ“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი თამაშობებიდან	10
6. სხვა შემოსავალი	10
7. თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	11
9. კომერციული ხარჯი	11
10. სხვა საოპერაციო ხარჯი	11
11. ფინანსური ხარჯი	11
12. მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	12
13. ძირითადი საშუალებები	12
14. არამატერიალური აქტივები	12
15. გადახდილი სადეპოზიტო თანხა	13
16. გაცემული ავანსები და სხვა მოთხოვნები	13
17. წინასწარ გაწეული ხარჯები	13
18. ფული და ფულის ეკვივალენტები	13
19. კაპიტალი	13
20. საგადასახადო ვალდებულებები	13
21. მოკლევადიანი სესხები	14
22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
23. პირობითი ვალდებულებები	14
24. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	15
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	17
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	17
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	18
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	18
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	18
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	18

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ავიატორ“-ის მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ავიატორ“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ავიატორ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 16-19 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური

ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

12 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო



მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

12 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო


მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის


თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021*
შემოსავალი თამაშობებიდან	5	9,832
სხვა შემოსავალი	6	237
თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	7	(4,192)
საერთო მოგება		5,877
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(2,064)
კომერციული ხარჯი	9	(256)
სხვა საოპერაციო შემოსულობა		15
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(495)
საოპერაციო მოგება		3,077
ფინანსური შემოსავალი		9
ფინანსური ხარჯი	11	(91)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	12	116
მოგება დაბეგვრამდე		3,111
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის სრული შემოსავალი		3,111

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 12 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:



ანასტასია თოფურიძე
დირექტორი



არმაზ ჯინჭელაშვილი
ფინანსური დირექტორი

*2021 წლის 19 მარტიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

შპს „ავიატორ“

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021*
შემოსავალი თამაშობებიდან	5	9,832
სხვა შემოსავალი	6	237
თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	7	(4,192)
საერთო მოგება		5,877
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(2,064)
კომერციული ხარჯი	9	(256)
სხვა საოპერაციო შემოსულობა		15
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(495)
საოპერაციო მოგება		3,077
ფინანსური შემოსავალი		9
ფინანსური ხარჯი	11	(91)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	12	116
მოგება დაბეგვრამდე		3,111
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის სრული შემოსავალი		3,111

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 12 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

არმაზ ჯინჭელაშვილი
ფინანსური დირექტორი

*2021 წლის 19 მარტიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

შპს „ავიატორ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021*
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	13	4,029
არამატერიალური აქტივები	14	517
გადახდილი სადეპოზიტო თანხა	15	30
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,576
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები		34
გაცემული ავანსები და სხვა მოთხოვნები	16	82
წინასწარ გაწეული ხარჯები	17	372
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	827
სულ მიმდინარე აქტივები		1,315
სულ აქტივები		5,891
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	19	-
გაუნაწილებელი მოგება	19	306
სულ კაპიტალი		306
მიმდინარე ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	20	39
მოკლევადიანი სესხები	21	1,360
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	4,186
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,585
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,891

*კომპანია დაარსდა, 2021 წლის 19 მარტს.

შპს „ავიატორ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020*	-	-	-
წლის სრული შემოსავალი*	-	3,111	3,111
გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,805)	(2,805)
31 დეკემბერი 2021	-	306	306

*კომპანია დაარსდა, 2021 წლის 19 მარტს, შედეგი მოიცავს 2021 წლის 19 მარტიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდს.

შპს „ავიატორ“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2021*
საოპერაციო საქმიანობა	
მოგება დაბეგვრამდე	3,111
შესწორებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	973
ფინანსური ხარჯი	91
საპროცენტო შემოსავალი	(9)
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	76
საკურსო მოგება	(116)
მოგება სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე	4,126
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:	
ცვლილებები საქონელში	(34)
ცვლილებები გადახდილ დეპოზიტში	(30)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში და სხვა მოთხოვნებში	(82)
ცვლილებები წინასწარ გაწეულ ხარჯებში	(372)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:	
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	4,159
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	39
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	7,806
გადახდილი პროცენტი	83
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7,889
საინვესტიციო აქტივობები	
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(4,551)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	110
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(1,154)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(5,595)
ფინანსური აქტივობები	
აღებული/(დაფარული) სესხი	1,346
გადახდილი დივიდენდი	(2,805)
მიღებული პროცენტი	9
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში	(1,450)
ნეტო ზრდა ფულის ან ფულადი ექვივალენტების	844
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	-
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(17)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	827

*2021 წლის 19 მარტიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

1. კორპორატიული ინფორმაცია

„ავიატორ“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2021 წლის 19 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404612610.

ძირითადი საქმიანობა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა. კომპანიაში 2021 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 150 თანამშრომელი. კომპანიის დირექტორია ანასტასია თოფურიძე

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, იაკობ გოგებაშვილის ქ., N 46ბ, ბ. N7. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილია თბილისი, 26 მაისის მოედანი N 1, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული სერვისების მიღება როგორცაა სათამაშო აპარატები.

კომპანიის მეწილეები:

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და ანგარიშგების გამოცემის მომენტისთვის არ შეცვლილა კომპანიის მეწილე და 100% წილის მფლობელია ივანე თარხნიშვილი.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანია დაარსდა 2021 წლის 19 მარტს, ანგარიშგებაში წარმოდგენილია არასრული წლის ინფორმაცია, კომპანიის დაარსებიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე

შესაბამისობის განცხადება.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**საწარმოთა გაერთიანება**

შპს ავიატორი დაფუძნდა 2021 წელს, მისი დამფუძნებელია ივანე თარხნიშვილი, რომელიც ფლობს საწარმოს 100%-იან წილს, კომპანიამ შპს ს გემბლინგ ჰოლისგან, რომლის დამფუძნებელიც და 100%-იანი წილის მფლობელი არის ასევე, ივანე თარხნიშვილი, შეიძინა სათამაშო აპარატები და ბიზნესის ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინვენტარი. ასევე კომპანია ჩაენაცვლა სიაჯარო ხელშეკრულებებში და გაუფორმა შრომითი კონტრაქტები საქმიანობა შეჩერებული კომპანიის თანამშრომლებს. ორივე კომპანიის საოპერაციო საქმიანობაა აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა და კომპანიის საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება იმავე ფართობი სადაც ოპერირებდა შპს ს გემბლინგ ჰოლი.

კომპანიამ აღნიშნულ აქტივთა ჯგუფი შეაფასა, როგორც საწარმო, თუმცა ვინაიდან აღნიშნული ბიზნეს კომბინაცია წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულებს შორის დადებულ გარიგებას, მსს ფასს-ის მე-19 განყოფილების მოთხოვნების შესაბამისად კომპანიას არ გამოუყენებია საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვასთან დაკავშირებული სტანდარტის მოთხოვნები და შემოსული აქტივები აღიარდა გადამცემ საწარმოში აღრიცხული საბალანსო ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სათამაშო აპარატები	5-15
ელექტრო მოწყობილობები	3-12
სხვა ინვენტარი	2-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ლიცენზია	5 წელი
საბუღალტრო და სხვა პროგრამები	10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც

წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკუროს სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოკეთებები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს კომპანიის დარბაზებში განთავსებული სლოტ აპარატები. ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით აპარატებში ჩარიცხული თანხა შემცირებულია გაცემული მოგებით. კომპანია არ სთავაზობს მომხმარებელს საბონუსე პროგრამებს და აქციებს. შემოსავალი აღიარდება იმ მომენტში როდესაც მომხმარებელი მიიღებს მომსახურებას და დადგება შედეგი.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიკური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი თამაშობებიდან

კომპანიის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს წმინდა შემოსავლები სათამაშო აპარატებიდან, რომელიც შეადგენს 9,832 ლარს.

6. სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალი ძირითადად შედგება ბარიდან მიღებული შემოსავლისგან რაც წარმოადგენს სათამაშო დარბაზში ვიზიტორებზე სასმელის და საკვების რეალიზაციას. უმეტეს შემთხვევაში კომერციული მიზნებიდან გამომდინარე, კომპანია თავის მომხმარებლებს ასევე სთავაზობს იგივე პროდუქციას უსასყიდლოდ. მომხმარებელზე მიწოდებული პროდუქციის მთლიანი თვითღირებულება წარდგენილია კომერციულ ხარჯებში.

შპს „ავიატორ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2021
მოსაკრებლის ხარჯი	(1,161)
საიჯარო ხარჯები	(1,097)
ცვეთა და ამორტიზაცია	(926)
შრომის ანაზღაურება	(460)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(380)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(168)
სულ	(4,192)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021
შრომის ანაზღაურება	(1,675)
საიჯარო ხარჯები	(118)
სამეურნეო ხარჯი	(56)
საბანკო ხარჯი	(49)
ცვეთა და ამორტიზაცია	(47)
საექსპლოატაციო ხარჯები	(42)
საკონსულტაციო ხარჯები	(13)
სხვა	(64)
სულ	(2,064)

9. კომერციული ხარჯი

კომერციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021
მომხმარებელთა კვების ხარჯები	(241)
სარეკლამო ხარჯი	(15)
სულ	(256)

10. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2021
ზარალი მიყენებული ზიანიდან	(419)
ძირითადი საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული ზარალი	(76)
სულ	(495)

11. ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯი სრულად წამოადგენს ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს, რაც შეადგენს 91 ლარს.

შპს „ავიატორ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. მოგება სავალუტო ოპერაციებიდან

სავალუტო ოპერაციებიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი) შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021
მიღებული სესხები	160
ფული და ფულის ეკვივალენტები	(17)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(27)
სულ	116

13. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	ელექტრო მოწყობილობები	სათამაშო აპარატები	სხვა ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები
შემოსვლა	928	3,118	505	4,551
გასვლა	-	(178)	(14)	(192)
31 დეკემბერი 2021	928	2,940	491	4,359
დაგროვილი ცვეთა				
ცვეთის ხარჯი	(50)	(250)	(36)	(336)
გასვლა	-	6	-	6
31 დეკემბერი 2021	(50)	(244)	(36)	(330)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	878	2,696	455	4,029

14. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	თამაშობების მოწყობის ნებართვები	საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ არამატერიალური აქტივები
შემოსვლა	1,000	154	1,154
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	1,000	154	1,154
დაგროვილი ცვეთა			
ამორტიზაციის ხარჯი	(628)	(9)	(637)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	(628)	(9)	(637)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	372	145	517

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს ლიცენზია თამაშობების მოწყობისთვის, რომელიც არის 5 წლიანი, რომლის სანაცვლოდაც ყოველწიურად იხდის 1 მილიონ ლარს, რომელიც ყოველწიურად ამორტიზდება და ერიცხება ამორტიზაციის ხარჯი.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. გადახდილი სადეპოზიტო თანხა

ელექტროენერგიის მომწოდებელი კომპანია იჯარით აღებულ ფართებზე ითხოვს ერთი თვის საშუალო მოხმარების შესაბამისი თანხის განთავსებას დეპოზიტზე, ამ თანხის გამოყენება შეზღუდულია მანამდე სანამ იჯარის კონტრაქტი აქტიურია და არ მოხდება ბოლო თვის მოხმარების დაფარვა.

16. გაცემული ავანსები და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021
გადახდილი ავანსები	81
სხვა	1
სულ გაცემული ავანსები და სხვა მოთხოვნები	82
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	-
სულ გაცემული ავანსები და სხვა მოთხოვნები, წმინდა	82

17. წინასწარ გაწეული ხარჯები

საქართველოს კანონით „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ განსაზღვრულია თითოეულ სათამაშო აპარატზე, ასევე სხვადასხვა თამაშობების მოწყობაზე, ფიქსირებული მოსაკრებლის ტარიფები. კომპანია ვალდებულია მოსაკრებელი შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დადგომამდე სრულად გადაიხადოს, წინასწარ გადახდილი თანხა წარდგენილია როგორც წინასწარ გაწეული ხარჯი და აღიარდება ხარჯად დარჩენილი პერიოდის პროპორციულად.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021
ფული სალაროში	626
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	177
ფული გზაში	13
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	11
სულ	827

19. კაპიტალი

კომპანიის 100% წილის მფლობელია ივანე თარხნიშვილი.

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს.

2021 წელს პარტნიორთა გადაწყვეტილებით მოხდა დივიდენდის - 2,805 ათასი ლარის განაწილება.

20. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

შპს „ავიატორ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. მოკლევადიანი სესხები

ინფორმაცია მიღებულ სესხებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	LIBOR+8.7%	საკრედიტო ხაზი	03-10-22	USD	1,352
გადასახდელი პროცენტი					8
ჯამი					1,360

შპს ავიატორს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს საქართველოს ბანკისგან აღებული აქვს მოკლევადიანი სესხი, აღნიშნული საკრედიტო ხაზის ლიმიტი შეადგენს 550 ა.შ.შ დოლარს, რომლიდანაც ათვისებული ლიმიტია 436 ა.შ.შ დოლარი. სესხის საპროცენტო განაკვეთია 8.7%, დაფარვის თარიღია 03/10/2022.

მოკლევადიანი სესხების რეკონსილაცია

	მიღებული სესხები
31 დეკემბერი 2020	-
სესხის აღება	(1,704)
ძირის გადახდა	191
პროცენტის გადახდა	83
საპროცენტო ხარჯი	(91)
საკურსო სხვაობა	161
31 დეკემბერი 2021	(1,360)

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	4,179
სხვა ვალდებულებები	7
სულ	4,186

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

24. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულება დაკავშირებული მხარის მიმართ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	3,280

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია	დაკავშირების სახე	2021
შემენა დაკავშირებული მხარისგან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	4,521

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	200

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 896 ლარის ოდენობით.

**შპს „ავიატორ“
მმართველობის ანგარიშგება**

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „ავიატორ“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ავიატორ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ანასტასია თოფურიძე, დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება, რომელიც შედგება ერთი პარტნიორისგან: ივანე თარხნიშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის გენერირების მთავარ წყაროს, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა.

არსებული პროდუქტები, მომსახურება და ბიზნეს პროცესები

კომპანიის შემოსავლები ტერიტორიულად სრულად გენერირდება თბილისში საბურთალოზე არსებული სათამაშო სივრციდან.

კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილია - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 26 მაისის მოედანი 1

კომპანიის შემოსავლები ტიპების მიხედვით არის შემდეგი:

	2021
წმინდა შემოსავლები სლოტებიდან	9,832
სხვა შემოსავალი	237
სულ შემოსავალი	10,069

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის დაარსებიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში კომპანიის დირექტორია ანასტასია თოფურიძე. წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს და ამტკიცებს პარტნიორთა კრება.

შპს „ავიატორ“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი კოეფიციენტები:

	2021
სულ შემოსავალი	10,069
სულ აქტივები	5,891
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	150
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio)	0.24
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	0.23
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	364
მარაგების ბრუნვა (დღე)	2.97
უკუგება კაპიტალზე	10.18

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ავიატორ“-ის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 100-დან 180-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, შპს „ავიატორ“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიის ბიზნეს პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის ძირითადი მომსახურების გამწვევი კომპანიები არიან: შპს „ერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“ და Advansys d.o.o. კომპანიის მომხმარებლები არიან როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს ვიზიტორები.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შპს „ავიატორ“-ის ბიზნეს პროცესი მთლიანად რეგულირდება საქართველოს კანონით ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ და ასევე საქართველოს კანონით სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია ბაზრის მოთხოვნის და გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად ლოკაციების მოძიება ახალი ფილიალების გახსნისთვის, არსებულ ფილიალებში სათამაშო აპარატების და თამაშების სახეობების მრავალფეროვნების შენარჩუნება. ტექნოლოგიური სიახლეების შესაბამისად ახალი თაობის სათამაშო აპარატების შემოტანაზე დროული გადაწყვეტილებების მიღება.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

ტექნოლოგიების დანერგვა გულისხმობს სიახლეების შემუშავებასა და გამარტივებული სტანდარტებით მუშაობის უზრუნველყოფას, რაც მომსახურებას მომხმარებლებისთვის ბევრად მიმზიდველს ხდის, ამიტომ ტექნოლოგიების დანერგვის სურვილი და მოთხოვნილება ეტაპობრივად იზრდება. შესაბამისად კომპანია ამ მიმართულებით ყველა შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობს, რათა ტექნოლოგიური სიახლეების შესაბამისად ახალი თაობის სათამაშო აპარატების შემოტანაზე დროული გადაწყვეტილებები მიიღოს.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2021 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3 688.6
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%
საშუალო წლიური ინფლაცია	13.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,152.8
უმუშევრობის დონე, %	20.6%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნია საკრედიტო რისკი.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას წარმოუშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 12 სექტემბერს:

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

არმაზ ჯინჭელაშვილი
ფინანსური დირექტორი

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 12 სექტემბერს:

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

არმაზ ჯინჭველაშვილი
ფინანსური დირექტორი